# ჩვენი გზა

№ 2

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 5 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, редакція „Чвени Гза“.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Чвени Гза“.


გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапанъ“ **Георгію Григорьевичу Бежіашвили.**

„ჩვენი გზის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ტრაგიკულ გადაცვალებას სახელოვანი მგოსნის

თ-დ ილია გრიგოლის ძე

## ჭავჭავაძისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

კნეინა ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა და კნეინა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორე—ძმისა

**ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისას**

პანაშვიდი იქნება გადახდილი ყოველ დღე ს. საგურამოში 12 საათზე და თფილისში ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—2

---

თფილისის წვრილ გაჭართა პროფესიონალური საზოგადოების მთავარი კომიტეტი აცხადებს უღრმეს მწუხარებას დიდებულ მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის

ილია გრიგოლის ძის

## ჭავჭავაძის

ტრაგიკულათ გარდაცვალების გამო სთხოვს ვაჭრებს დაესწრან ხუთშაბათს 6 ენკენისთვეს ჩუღურეთში წმ. ნიკოლოზის ტაძარში დილის 12 საათზე სადაც გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვლებული სულის მოსახსენებლათ.

---


ვთხოვთ ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც მიიღეს ადგილები ალექსანდრე და ნიკოლოზ გაბაევის მამულებში მობრძანდნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში ხუთშაბათს, ექვს სექტემბერს დილის 11 საათზე წყლის-საყვანის შესახებ მოსალაპარაკებლათ სვგაბაშვილო ადგილებში.

დავშთებით პატივისცემით ალექსანდრე და ნიკოლოზ გაბაევი და ბაგრატ თოროზოვი. (1—ფ—1).

---

## მელიტონ კაკაურიძეს.

უთანხმოებას მე და თქვენ შორის დასასრული არ უჩანს. ამისათვის უკანასკნელათ გიწვევ სამედიატორო სამართალში. (თუმცა-ღა ბევრი მოგვატყუილეთ მეც და ჩემი მედიატორებიც). ვადას გაძლევთ გაზეთში გამოცხადების შემდეგ ხუთ დღეს. ჩემი მხრიდან ვასახელებ გერასიმე კაჭახიძეს, ალ. ვაშაკიძეს და თავმჯდომარეთ, როგორც ვაჭართა ბიუროს დაგვისახელა და თვითონაც მაშინ თანხმობა განაცხადა იქნება გერასიმე კვირტია.

თომა ბ. ფირცხალავა. (1—ფ—1).

---

## გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლეს საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 148, მახარაძის ბინა. (3—6—3).


---

### ერობის წარმომადგენელთა კრება.

—

საერობო დაწესებულებათა ბატონპატრონნი რუსეთში ესხვილი მემამულეებია. საარჩევნო კანონი მემამულეებს საშუალებას აძლევს თავისი კაცები გაიყვანონ ამ დაწესებულებებში. სანამ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება მოდუნებული იყო და ფართე განმთავისუფლებელი მოძრაობა არ არსებობდა, საერობო დაწესებულებებში კიდევ შეხვდებოდით პროგრესიულ ელემენტებს. მარა დღეს პოლიტიკური ცხოვრების დიფერენციაცია ისე შორს წავიდა, რომ ასეთ „შემთხვევებს“ ერობაში ადგილი აღარ აქვს; მას დღეს სავსებით დიპატრონა შავრაზმელი მემამულეები—ის „130 ათასი“, რომელიც წინ ეღობება 140 მილიონი ხალხის სურვილს. ცხადია მემამულეები შეეცდებოდენ ეს საზოგადოებრივი დაწესებულება თავისი კლასის სასარგებლოთ გამოეყენებაით, ერობა გადაექციათ იმ დაწესებულებათ, სადაც თავს შეაფარებდა და შეკავშირდებოდა „სრულიად რუსეთის ჭეშმარიტი რუსები“.

მეორე დუმის გარეკის შემდეგ ფიცხლავ მოიწვიეს სიეზდი. ამ სიეზდმა ნათლათ დაანახვა ქვეყანას, თუ რა ძალის მატარებელია მემამულეები. ეს იყო დრომოჭმული წოდების უმსგავსო დემონსტრაცია. სახელის მოხვეჭის მაგიერ მან კიდევ უფრო დასცა რეაქციონური მემამულეების პრესტიჟი. ეს სიეზდი მთავრობაზე უფრო მემარჯვენე აღმოჩნდა. მან აშკარათ გაილაშქრა დღევანდელი სამინისტროს „ლიბერალური გატაცების“ წინააღმდეგ. იმ იმედით, რომ 3 ივნისის საარჩევნო კანონი დაბოლოს მაინც მათ არგუნებდა გამარჯვებას მესამე დუმის არჩევნებში, ისინი არ ფარავდენ თავის ველურ გრძნობებს. მარა არჩევნების დრო უკვე მოახლოვდა და, როგორც გამოირკვა, შავრაზმელების პოზიცია არც ისე მაგარი ყოფილა. და აი საჭირო დარჩა „ტონის“ გამოცვლა, ცოტა „ლიბერალობის“ გამოჩენა, რომ ამით ზოგიერთი გულუბრყვილო ამომრჩეველი თავისკენ გადაებირებიათ. ამ განზრახვით მოწვეულ იქნა ხელ-ახალი სიეზდი.

როგორია ამ სიეზდის ფიზიონომია? აღსანიშნავია ის, რომ ამ სიეზდს არ დაესწრენ ის თითო-ოროლა პროგრესიული დელეგატები, რომლებიც მოხვდენ ივნისის სიეზდზე. მათ უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე. ასე რომ ერთი მხრით ეხლანდელი სიეზდი შესდგებოდა უკიდურესი მემარჯვენეებისაგან მეთი კრუშევანებით, გრაფ დორერებით, კასატკინ-როსტოვსკებით და სხ. და მეორე მხრით, ოქტომბრისტებისაგან.

სიეზდის ერთი უმთავრესი საკითხი ე. წ. წვრილი ერობის შემოღებაა, რაიც მოასწავებს ამ დაწესებულებაში დემოკრატიული ელემენტების შემოშვებას. მარა შიში, გლეხების შიში, ეხლაც არ ასვენებდა „ბრწყინვალე“ წოდების წარმომადგენლებს. სახელმწიფო დაირღვევა, კულტურა განადგურდება, თუ ბარბაროსი გლეხი გაბატონდა ერობაში, ჩვენ მსხვილი მესაკუთრეები შევადგენთ საზოგადოების ქვა-კუთხედს, — ამიტომ ჩვენ უნდა ვიბატონოთ—ასეთი იყო გაბოროტებული მემამულეების დასკვნა. სიეზდმა უარყო წვრილი ერობის ხელით შემოღება და ამ საკითხის გადაჭრა მიანდო საგუბერნიო ერობებს. თუ ისინი მოისურვებენ, შეუძლიათ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე წვრილი საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს რომ ასეთი ერობა მანამ არ განხორციელდება, სანამ ერობას სათავეში უდგას შავრაზმელ მემამულეების ხროვა, ვინაიდან, ისინი ყოველთვის ეცდებიან თავისი ბატონობა გაამაგრონ და ნებაყოფლობით თავისი პოზიცია არ დაუთმონ დემოკრატიას. მაშასადამე სიეზდის გადაწყვეტილება არა თუ ეთანხმება საზოგადოების პროგრესიული ელემენტების მოთხოვნილება, ის არ ეთანხმება აგრეთვე მთავრობის კანონ-პროექტსაც, რომელიც მან შეიტანა მეორე დუმაში. ამ კანონ-პროექტში იგი აღიარებდა, რომ არსებული სასოფლო წყობილება უნდა შეიცვალოს უწოდებრივო თვითმართველობის შემოღებით, ვინაიდან ძველი წოდებრივი ურთიერთობა მოიშალა და ცხოვრება წინ აყენებს ახალ მოთხოვნილებებსო.

როგორც მკითხველი ხედავს ერობის სიეზდი, სიეზდი 130 ათასის წარმომადგენლებისა გადაჭრით უარყოფს მთავრობის შეხედულებას.

როგორ მოიქცევა ბიუროკრატია? ეს ჩვენთვის ამ თავითვე ცხადი უნდა იყოს. განა ბიუროკრატიამ პირდაპირ არ განაცხადა, რომ იგი ვერ დასთმობს 130 ათასი მემამულის ინტერესებს და ვერ დააკმაყოფილებს 140 მილიონი ხალხის სურვილსო? ბიუროკრატიის ოფიციოზი გაზ. „Россія“ უკვე ეხება ამ საკითხსდა აცხადებს, რომ იგი თანაგრძნობით ეკიდება რეაქციონური მემამულეების გადაწყვეტილებას. ბიუროკრატია ძალით არ მოახვევს თავზე ხალხს წვრილ საერობო დაწესებულებას—სწერს გაზეთი. აქედან ცხადია, რომ ბიუროკრატია ჯიბრში არ ჩაუდგება მემამულეებს. თავის კანონპროექტს უკან წაიღებს. ამითე რთხელ კიდევ მტკიცდება რომ მისი და 130 ათასი მემამულის არსებობა და ინტერესები მჭიდროთ შეკავშირებულია ერთმანეთთან.

---

## ადგილობრივი პრესა

—

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა სამართლიანათ აღშფოთებს და ამღელვარებს მთელს ჩვენს მხარეს და ყველა გაშტერებულ-გაოცებული კითხულობს: ვინ იყო, რა ხელმა მოსწია საბედისწერო ჩახმახს, რომელმა გადაგვარებულმა, რომელმა ნაძირალმა ჩაიდინა ეს დაუჯერებელი საზიზღროება? ამ საკითხს ეხება სხვათა შორის გაზ. „ისარი“. იგი აცხადებს, რომ მას არა სჯერა მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარიყოს და იმავე დროს ნათლათ ჩაგვძახის: კი, რასაკვირველია პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. „ისარი“ განმეორებით აცხადებს: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ან პარტიას ან რომელსამე სხვას რამე დავწამოთ“ და იმავე დროს აღნიშნავს ერთ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელმაც დაჰქეშმარიტებით მახვილი აღლო პოეტისა და მწერლის წინააღმდეგ. როგორ, ნუ თუ?.. ნუ თუ შესაძლებელია... აი მოისმინეთ. „ისარი“ სწერს:

**„განა ჩვენში არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული?“** და აი, კიდევ ამ მიმართულების მიმდევართ „იმუშავეს დაუღალავათ, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენიც, რომელნიც ხალხის პირად მტრებათ გამოჰყავდათ და ბრბოს უსინიდნდენ—ჰკა მაგათო?!. ადვილათ წარმოსადგენია, რა ფანატიკურ მძულვარებას სთესავდა ამგვარი ქადაგება ბნელ მასაში ყველა იმათ მიმართ, ვინც ილიასავით, სხვა მიმართულების იდეოლოგი და წინამძღვარი იყო. ამას, საუბედუროთ, ისიც დაერთო, რომ ილია ჭავჭავაძეს განგებამ და ისტორიამ თავადობა, მემამულეობა არგუნა, რომელსაც კერძო საკუთრება სწამდა და „თავისას“ არავის ანებებდა“... (ის. № 192) ხომ გესმით, ხომ გაიგონეთ... აი თურმე როგორი მიმართულება გაჩენილა ჩვენ ბედკრულ ქვეყანაში!.. მერე ეს რა ღვთის რისხვა მიმართულებაა, რომელიც მთელი ჩვენის კულტურულ წარსულის წინააღმდეგ ზიზღითა და სიძულვილით აღვსილა, რომელსაც ცეცხლი და მახვილი აუღია? ეს რა შეჩვენებული მიმართულებაა, რომ მგოსნებსა და მწერლებსაც აღარ ინდობს და განსაკუთრებით მუსრს ავლებს „გრაფ მწერლებს და აზნაურ პოეტებს“?.. ბატონებო, ცოტა ამოხმით დაილაპარაკეთ, ცოტა გარკვევით დასწერეთ, პირდაპირ დაასახელეთ რომელ მიმართულებაზე ფიქრობთ, რომელი პარტია გაქვთ ნიშანში ამოღებული?.. ასეთ საკითხში ყოვლად შეუწყნარებელია რაიმე ორპირობა. თუ კი ჩვენს ქვეყანაში გაჩენილა ასეთი ვანდალიზმი, თუ კი შექნილა მთელი მიმართულება სკვითებისა, გუნნებისა, ბარბაროსებისა-ველურებისა, განა აქ კიდევ შეიძლება ყოყმანი ან დახანება, განა ყველანი ვალდებულნი არ ვიქნებით პირდაპირ მივიტანოთ იერიში?... მაშ დაასრულეთ. მაგრამ ვინემ გარკვევით გაამეორებდეთ თქვენს საზარელ და საზიზღარ ბრალდებას, ვინემ თქვენ ხელს დაადებდეთ განსაზღვრულ მიმართულებას თუ პარტიას, კარგათ დაფიქრდით, რადგან მერე გვიანღა იქნება „თითზე კბენანი“, რადგან, რუსების თქმისა არ იყოს, „კალმით დაწერილს ცულით ვეღარ ამოფხეკთ“.

*
* *

„ისარი“-ს იმავე ნომერში ბ-ნი Bâton-ი სწერს:

„ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს იმისათვის, რომ იგი, როგორც მავნე პირი, საზოგადოებისათვის, რომელსამე „უდიდეს იდეას“ უნდა შესწიროდა ზვარაკათ? ილია ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ, იმისი სიცოცხლე იყო მავნე საქართველოს ხალხისათვის, და ათასმა გოშიაგოშპარამ, რომელთაც თავს იდვეს ჩვენი ცხოვრების მოწყობა და ნაცვლათ შერყვნეს გაანადგურეს, შეურაცხყვეს იგი,—უნდა იცოცხლონ, რომ ხალხს მალამოდ მოეცხონ?

თუ მართლაც ილია ქართველებმა მოვკალით და შევირცხვინეთ თავი ამიერიდან უკუნისამდე, სამარადისოთ გამოვირიცხეთ ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან... ვინ და დაგვრჩა ილიას შემდეგ?... „სოციალისტები“, „ანარქისტები“, „ინტერნაციონალისტები“, „მეცნიერები“ და სწავლის სხივებით გაბრწყინვებულნი, „პოეტები“, ბაირონზე მაღლა მდგომნი, „რევოლიუციონერები“... მითხარით ერთხელ კიდევ,—ეს კაცებიც ადამიანები არიან, ილიას ნაცვლად რომ დაგვრჩნენ?!...

ამპობენ ზოგჯერ უზომო მწუხარება ადამიანს ჭკუაზე შეშლის ანუ ხშირათ გონებას დაუბნევსო. თუ ასეა ბ-ნ Baton-ის შესახებაც, მაშინ ჩვენ მოკრძალებით თავს ვიხრით.

*
* *

ძალიან ურევს აგრეთვე ბ-ნი ევდოშვილი, როცა იგი სწერს:

„ცხოვრების ნაძირალებო! თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს ავაზაკების მიერ განგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან. თქვენ, რომელნიც ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით, შეეკითხეთ თქვენს სინდისს: „რა დააშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“. აშკარათ და ხმა მაღლა გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ფურჩულით, ნუ თუ არ გესმით. რომ თქვენი ღიმილი ვაშაა ავაზაკებისადმი; რომ იგი თანაგრძობაა მწერლის ჯალათებისადმი, იმ მწერლისა, რომლის ნაწარმოებით თვით თქვენვე აღიზარდენით.

როგორც ხედავთ, ილია ჭავჭავაძის თვით მკვლელებს გარდა კიდევ ყოფილან ისეთი ნაძირალები, რომელთაც უხარიანთ მწერლის მოკვლა და, რაც უფრო მეტათ საყურადღებოა, ეს ნაძირალები თვით ამ მწერლის ნაწარმოებზე ყოფილან აღზრდილნი. ეს ისეთივე შეუსაბამოებაა, როგორც ადუღებული ყინული, ანუ სველი ცეცხლი.

*
* *

„ისარის“ ვიწყაციებზე უფრო ჭკუა დამჯდარი სწერს მანდილოსანი, ქ-ნი განდეგილი. ფრიად მოს წონია მისი შემდეგი აზრი:

ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ ადევთ: დაე თვით ილიასთან ნაპურმარილევმა გლეხობამ დაჰგმოს საზიზღარი მკვლელი, დაე უსიტყვო ტყემაც შესძახოს გარეწარს: კაინ, სად არის ძმა შენი?

მხოლოთ ქ-ნი განდეგილი შემცდარი არის, როდესაც ფიქრობს, ვითომ **ჩვენს დროში** შესაძლებელი იყოს, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილი ხალხმა საქვეყნო მტრათ მიიჩნიოს და სამარცხვინო ბოძზე მიაკრას. ფაქტიური შეცდომაა, იმის თქმა, რომ ერთხელ ზოლა საფრანგეთის ხალხმა სამშობლოდან გააძევაო. ნამდვილათ კი ემილ ზოლა, ერთხელ სამშობლოდან გაძევა მხოლოთ ბურჟუაზიულმა მთავრობამ; საფრანგეთის ხალხი კი საშინლათ აღშფოთდა ამის გამო. ემილ ზოლას სიკვდილზედაც საფრანგეთის ხალხი—და მათ შორის, რასაკვირველია, შეგნებული პროლეტარიატიც, სამგლოვიარო ძაძით შემოსა. ზოლას ნეშტი უკვე დაკრძალულია „სამშობლოს დიდებულ შვილთა ტაძარში“—პანთეონში.

ჩვენ ჯერ არ მოგვეპოება ჩვენი პანთეონი, მაგრამ მგოსანის და ბელეტრისტის—ილია ჭავჭავაძის სადიდებელი სამარადისო ძეგლი ჩვენში უკვე აღმართულია და ეს ძეგლია „გრძნობა-გონებით და არა ხელით ზე-აღგებული“.

## პოლიტიკური მიმოხილვა.

არჩევნები კარზე მოგვადგა და ბიუროკრატიაც „დეპუტატების კეთებას“ გულმხურვალეთ შეუდგა. სახელოვანი და ცნობილი კრიჟანოვსკი ენერგიულათ მუშაობს თავის კაბინეტში. უკვე ცირკულიარი გამოიცა, რომელიც დიდათ უწყობს ხელს, რომ ბიუროკრატიისათვის სასურველი კანდიდატები იქნენ არჩეული. ცირკულიარი წვრილ მემამულეებს და ქალაქის ამრჩევლებს შეეხება. 3 ივნისის საარჩევნო კანონი სრულ ნებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს ამრჩეველთა ნაციონალური და ქონებრივი ცენზის მიხედვით ნაწილებათ დაყოს. ასეთი ცენზის მიხედვით შემდგარი კურიები ახლა კრიჟანოვსკის ცირკულიარმა ეს „ნება“ გენერალ-გუბერნატორებს და გუბერნატორებს გაუზიარა. ამასთან „სრული ნება“ კატეგორიულ დავალებათ გადაიქცა. ცირკულიარი სავალდებულოთ ხდის წვრილ მემამულეების სამ ნაწილათ დაყოფას: პირველს უნდა შეადგენდეს საშუალო მემამულენი, მეორეს—ყველა წვრილი მემამულენი და მესამეს—მღვდლები. ყველა ამათ ცალცალკე რწმუნებულები უნდა ამოირჩიონ. თითო კატეგორიას იმდენი რწმუნებულის არჩევის ნება აქვს, რამდენიც მას ერგება ამრჩეველთა მამულის რაოდენობით. პროპორციონალური ქონებრივი წარმომადგენლობის პრინციპი ცირკულიარში სავსებითაა დაცული. რა მიზანი აქვს ბიუროკრატიას? სიტყვიერი პასუხის მაგიერ ციფრები ავალაპარაკოთ. ახალი წესით ვლადიმირის გუბერნიის 243 საშუალო მემამულე 125 რწმუნებულს ამოირჩევს, 553 მღვდელი—104-ს და 564 წვრილი მემამულე—34 რწმუნებულს (სმირნოვის გამოკვლევა). სხვანაირათ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ წინანდელი წესის დროს საშუალო და წვრილმემამულეებს მღვდლებთან ერთათ **ერთგვარი პოლიტიკური ხმა ქონდათ**, ახლანდელი წესით კი წვრილი მემამულის ხმა **ოთხჯერ** ნაკლებ ფასდება, ვინემ საშუალოსი და **სამჯერ** ნაკლები, ვინემ მღვდლის. რაც შეეხება ნაციონალურ ცენზს, აქ ბიუროკრატიის საქმე ჭანდრაკულათაა. საზოგადოთ „ნაციონალურ ნიშნებს იურიდიული შინაარსი არა აქვს“. ამიტომაცაა, რომ რუსთა ნაციონალურ კურიაში ნემცები, მოლდავანები, ბერძნები და სხვა ხალხნი მოყვენ. მინისტრის ცირკულიარს დიდი იმედი არა აქვს ნაციონალურ კურიების და ამიტომაც მას სავალდებულოთ არ ხდის; ვისაც როგორ სურს, ისე მოიქცესო.

* * *

ორ თვეზე მეტია რაც სატახტო პრესა „განსაკუთრებულ მდგომარეობის“ წესების შესახებ კამათობს. საკითხი აი რაშია: რუსეთში „განსაკუთრებული მდგომარეობა წესები“ 1881 წ. შემოიღეს. იმ დროს ასეთი ზომების მიზეზათ „არეულობას“ ასახელებდენ. დრო გავიდა, ცხოვრება შავმა რეაქციამ სრულიად შებოჭა, შემდეგ ყოველ სამ წელში გამოდიოდა ახალი ბრძანება, რომლითაც „განსაკუთრებული წესები“ ძალაში რჩებოდა. მართალია, ასეთი ბრძანებები უკანონოთ გამოდიოდა, მარა მაშინდელ დროში ასეთი ნაბიჯები ცოდვათ არ ითვლებოდა. ეხლა კი ასეთ ცხარე კამათს იწვევს. და მართლაც, განა ხუმრობაა! ახლა ხომ კონსტიტუციურ ქვეყანაში ვცხოვრობთ! ახლა წარმომადგენლობითი დაწესებულება გვაქვს და უმაღლესი უქაზები მინისტრის ხელმოწერით ქვეყნდება! ამიტომაც ეხლა პროგრესიული გაზეთები, თუ ძირითადი კანონების შინაარსის არა, ფორმის შესრულებას მაინც მოითხოვენ. 12 ნოემბერს 1904 წ. ბრძანება გამოიცა, რომელშიაც „განსაკუთრებულ მდგომარეობის“ კანონების გადასინჯვას გვპირდებოდენ. სპეციალური კომისიაც კი დაარსდა; კომისიას დაევალა ძველი კანონის გადაშინჯვა და ახალის შემუშავება. მაგრამ ამ დროს „კრამოლამ“ იჩინა თავი და აბა საიდან შეეძლო ბიუროკრატიას „განსაკუთრებულ ზომებს“ გამოთხოვებოდა. 1905 წ. შინაგან საქმეთა მინისტრმა „განსაკუთრებული მდგომარეობის“ სამი წლით განგრძობა მოითხოვა. მაგრამ შემდეგ ეს დრო 1906 წლით განსაზღვრეს. გავიდა აღნიშნული დროც. ცხოვრება მაინც თავისას არ იშლიდა, მთავრობის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ შეცვლილა. 1906 წ. 5 აგვისტოს ახალი უქაზი გამოვიდა, რომელმაც ერთი წლით კიდევ გააგრძელა „განსაკუთრებული მდგომარეობის“ სასიცოცხლო ვადა. ეს დროც გავიდა. აქ დაიბადა იურიდიული საკითხი: როგორ უნდა გამოიცეს ახალი უქაზი. პროგრესიული გაზეთები სამართლიანათ ამტკიცებდენ, რომ ასეთი ბრძანება შესაძლებელია გამოიცეს მხოლოდ 87 სტატიის ძალით ბიუროკრატიამ კითხვა თავისებურათ გადაჭრა. კანონი რაღაა შიდა, თუ ის ჩემთვის სასარგებლო არ არისო და მართლაც „კანონიერება“ ამ საკითხში მისთვის არ იყო ხელსაყრელი. ბიუროკრატიას რომ 87 სტატიისთვის მიემართა, მაშინ „განსაკუთრებულ მდგომარეობის“ შესახები უქაზი დუმის გახსნიდან ორი თვის განმავლობაში ხალხის წარმომადგენლებისათვის უნდა წარედგინა დასამტკიცებლათ. დუმას მისი უარყოფა შეეძლო. ამიტომაც ბიუროკრატიამ ახალი უქაზი „განსაკუთრებული მდგომარეობის“ განგრძობის შესახებ კანონს გარეშე გამოსცა და მორჩილმა სენატმა უკანონო უქაზი კანონიერათ აღიარა და გამოაქვეყნა.

ამრიგათ მართლდება ანდაზა: „ჯერ მშვიდობიანობა, შემდეგ რეფორმებიო“.

ოდესაში ისევ „პოგრომი“ გამართეს. გამხეცებული, ველური ხულიგანები დაესია იარაღ ახდილ მცხოვრებლებს და ხოცვა-ჟლეტა დაუწყო. მოქალაქეებს ხოცვენ, ბაღლებს ასახიჩრებენ, ფანჯრებს ამსხვრევენ, ქონებას იტაცებენ... ყველა ეს ხდება და გრძელდება სამი დღე დიდ ქალაქში, სადაც ათი ათასი ქვეითი ჯარი დგას, ორი ათასი პოლიციელია და რამოდენიმე ათასი მეეზოვე და დარაჯები! გენ.-გუბერნატორი გრიგორიევი ხელს იბანს, მე „საკმაო ძალები არ მყავსო“. ამ დროს კი ქალაქი „ყვითელ ბლუზიან“ „უცნობების“ ხელშია!.. ორი წელიწადია, რაც ოდესაში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ დაარსდა. შავრაზმელი გრაფი კონოვნიცინი თავმჯდომარეა კავშირის ოდესელ განყოფილების. ამ დროს განმავლობაში რა არ მოიმოქმედეს „კავშირის“ წევრებმა? შტრეიკბრეხერობა, ჯაშუშობა, მკვლელობა ყველა მათი პროფესიონალური ხელობაა. ადგილობრივი მთავრობა ლმობიერებით შესცქეროდა „ახალგაზრდა ყმაწვილების ცელქობას“. ერთათ ერთი გრადონაჩალნიკი გრიგორიევი იყო, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ ხელს უშლიდა კავშირის „გამოსვლას“. უკანასკნელ თვეში გრიგორიევი კაულბარსმა მოინელა, გრადონაჩალნიკმა სამსახურს თავი დაანება. მაშინ „ჭეშმარიტ რუსებმა“ ალვირი აიხსნეს. დღეს ოდესაში მშვიდობიანობა დამყარდა. მარა როდემდის?

# ახალი ამბები

**ტრამვაის მოსამსახურეთა საზოგადო კრება.** კვირას, 2 სექტემბერს მოხდა ზემოხსენებული კრება, კრებამ იქონია მსჯელობა დირექციის აღმატებითი უფლებებით მოქმედების შესახებ, რომელიც გამოიხატება შტატის შევიწროვებაში, ჯამაგირების დაკლებაში, ზოგიერთების უსაბუთოთ დათხოვნა-დაჯარიმებაში და სხვ. ამის გამო არჩეულ იქნა დელეგაცია დირექციასთან საერთო მოლაპარაკებისათვის. როგორც გადმოგვცეს, ამნაირი მოლაპარაკება უკვე მომხდარა დირექციასთან, თუმცა მოსამსახურეებისათვის უნაყოფოთ.

◆ **წვრილ გაზეთების ბიუროს დადგენილება.** გუშინ, 3 სექტემბერს ბიურომ იქონია მსჯელობა თ. ი. გ. ჭავჭავაძის დაკრძალვის შესახებ და დაადგინა შემდეგი: 1. ხუთშაბათს 6 სექტემბერს გადახდილ იქნას პანაშვიდი ჩუღურეთის ეკლესიაში; 2. პარასკევს 7 სექტემბერს შეხვდეს მათი დეპუტაცია გვირგვინით მიცვალებულ ი. ჭავჭავაძეს ვაგზალთან და 3. კვირას მის პატივსაცემლათ დუქნები იქნეს დაკეტილი დაკრძალვის დროს.

◆ **გამართლება.** ივანე პავლიაშვილი, რომელსაც გუშინ ასამართლებდენ, სასამართლომ გაამართლა.

◆ ყვარელიდან დეპეშით იცნობებიან თავიანთ მწუხარებას ი. ჭავჭავაძის მკვლელობის გამო. ხელს აწერს ადგილობრივი მამასახლისი.

ასეთივე ცნობა მოვიდა ახალციხიდან. ხელს აწერს ექიმი გამრეკელოვი.

◆ **დაჭერა.** 1 სექტემბერს „ხარისხის“ რედაქციის გაჩხრეკის დროს დაუჭერიათ იქ მყოფი სომხის სემინარიის 5 კლასის მოსწავლე ასატურ გეურქოვი, რომელიც დღემდის დაპატიმრებულია.

◆ **ხმოსანთა კრება.** გუშინ 3 სექტემბერს მოხდა თფილისის ხმოსნების კრება. დაადგინეს აღმოუჩინოს დახმარება მოსამსახურეებს: ივანიცკის და სკარეცკის. პირველს 1000 მ. მეორეს 200 მან. შემდეგ მოისმინეს ანგარიში ლომბარდის მოქმედების შესახებ 1887 წლის დაარსებიდან დღევანდლამდის. როგორც გამოირკვა თფილისის მცხოვრებნი ძლიერ საჭიროებენ წვრილ კრედიტს. გადასწყვიტეს ლომბარდის მოსამსახურეებს მისცენ ერთდროული დახმარება.

შემდეგ იქონიეს მსჯელობა ი. ჭავჭავაძის დაკრძალვის შესახებ, ყველამ ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვალებულს და გადასწყვიტეს გვირგვინი მიცვალებულისათვის.

◆ **მომავალი კრება.** ახლო მომავალში შედგება კრება თფილისის ქალაქის საბჭოსი. ითათბირებენ იმაზე, თუ რა ზომები მიიღონ პურზე ნიხრის გადიდების წინააღმდეგ.

◆ 4 სექტემბერს დილის 11 საათზე ვერიამინოვის ქუჩაზე ხეთი შეახო ერთმა მუშამ მართულს, რომელიც გაჭიმულია სოლოლაკში, ელექტრონის ძალამ დაჰკრა და მუშა უგრძნობლათ დასცა მიწაზე. ის გულშეღონებული წაიყვანეს საავათმყოფოში.

◆ **უნივერსიტეტის გახსნა.** გუშინ 9 სექტემბერს გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი. 200-დის მსმენელი დაესწრო. პირველ ლექცია წაიკითხა თაყაიშვილმა კავკასიის წელთ აღრიცხვის შესახებ. შემდეგ ლექციას კითხულობს ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტი ბ. მ. ხალატიანი.

◆ **კაცის დაკარგვა.** როგორც გვატყობინებენ ფოთში დაკარგულა ახალგაზრდა კაცი 15 წლის გვარად გიორგი ლუკას ძე კვირაძე ვინც იცოდეს სად იმყოფება აცნობეთ „ჩვენი გზის“ რედაქციას.

◆ **დათხოვნა.** კონდუქტორი მარქაროვი დირექციას დაუთხოვნია იმის გამო, რომ პასაჟირისათვის მას შეურაცხყოფა მიუყენებია.

◆ **მკვლელობა.** როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ კვირას, 2 სექტემბერს, თეატრთან რევოლვერის ტყვიით მოკლეს გოროდოვოი ხანანაშვილი. მკვლელი მიიმალა. წარმოდგენის მსვლელობა თეატრში შესწყდა.

◆ **არჩევნების გამო.** ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, დანიშნულია კრება სამაზრო ამომრჩეველთა კომისიისა სახელმწიფო სათათბიროში.

◆ **ახალი ბროშიურა.** გამოვიდა ახალი ბროშიურა ალ. ი. ხატისოვისა ხოლერაზე. ბროშიურა ვრცელდება ხალხში უფასოთ.

◆ **ჩხრეკა და დაჭერა.** 3 სექტემბერს საღამოს 10 ს. ალექსანდრე არუთინოვის დუქანში, ორთაჭალაში აღმოაჩინეს ორი რევოლვერი და 34 პატრონა არუთინოვი და მიხეილ ჯავახოვი დაატუსაღეს.

◆ **დაჭერა.** როგორც ფოთიდგან გვატყობინებენ ამ რამოდენიმე დღის წინეთ პოლიციას დაუპატიმრებია ვასილ ქადეიშვილი. მიზეზი არ იციან.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ №-ს ახალ ამბავში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ თფილისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა თამბაქოს ქარხნების მუშათა პროფესიონალური საზოგადოების წესდებაო. ხსენებული საზოგადოების წესდება სამ თვეზე მეტია, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ გუბერნატორმა არ მისცა ნება საზოგადო დამფუძნებელ კრების გამართვისა ჯერ-ჯერობით.

# რუსეთის პრესა.

## ტალღების ძალა.

გაზ. „რეჩი“ სწერს:

„როდესაც ჩვენი გამოფხიზლების პირველ ხანებში სარევოლიუციო ტალღები ერთობ მაღლა შესქდა... შეშინებულმა რეაქციონერებმა ხელი ჩასჭიდეს „რეფორმებს“. იგინი, რასაკვირველია, აღიარებენ რეფორმების აუცილებლობას, აღიარებენ, რომ საჭიროა განხორციელდეს „თავისუფლებანი“, საჭიროა გარდაიქმნას საერობო და საქალაქო თვითმართველობა, შემუშავდეს კანონები მუშათა სამფარველოთ. ყველა ეს რეფორმები საჭიროა—საჭირო არ არის მხოლოდ „რევოლიუცია“...

მაგრამ აი გაიარა რევოლიუციისაგან აღძრულმა შიშმა და მასთან ერთათ შესამჩნევათ იკარგება „რეფორმებისადმი“ სიყვარული. თითქოს თვითეულ თავის გამოსვლით რეაქციონერებს სურდეთ საზოგადოებასა და ხალხში განამტკიცონ ის რწმენა, რომ მხოლოდ რევოლიუციის შიშს შეუძლიან აიძულოს იგინი რეფორმების გასატარებლათ“.

ამ რიგათ, ეხლა კადეტებიც კარგათ ხედავენ იმ გარემოებას, რასაც მთელი მემარცხენე ოპოზიცია დიდი ხნიდანვე აღნიშნავდა. დიახ, საზოგადოთ ერთობ დიდია სარევოლიუციო ტალღების ძალა და მნიშვნელობა ცხოვრებაში. მათ შეუძლიანთ თვით რეაქციონერების მორჯულებაც. კადეტები ეხლა სცნობენ ამ ჭეშმარიტებას, მარა ისინი მაინც კვლავ გაურბიან „სარევოლიუციო ტალღებს“.

* * *

**მთავრობა და შავრაზმელები.**

გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს ცნობილი პუბლიცისტი ა. სტ—ნი ნამდვილი enfant terrible ერთობ მონავარი წევრი გახდა თავის ბანაკათვის. როგორც იცით, ამას წინათ მან გამოააშკარავა მთავრობის რეპრესიების პოლიტიკის უაზრობა და სხვათა შორის აღნიშნა, რომ თუ მთავრობა იჭერს და აღრჩობს ერთ ტერორისტს, სამაგიეროთ ჰბადებს ოცს ახალ ტერორისტსო. ეხლა იგივე ა. სტ—ნი ფარდასა ხდის მთავრობისა და შავრაზმელების მეგობრობას.

იგი სწერს:

„ოდესაში დაუჯერებელ ანარქიის და სპეციალურ—ებრაულ რევოლიუციის დროს იქაურმა ადმინისტრაციამ მიმართა სახიფათო საშუალებას; ჭეშმარიტ რუსთა მოკავშირეების დახმარებას“.

ამ რიგათ ოფიციოზურ გაზეთის თანამშრომელი აღიარებს, რომ ადმინისტრაცია ზოგჯერ მართლა მიმართავს ხოლმე ხულიგანების დახმარებას მშვიდობიან მცხოვრებთა „პოგრომების“, ძარცვა-აწიოკების მოსახდენათ. ბ-ნი ა. სტ—ნი პრინციპიალურათ წინააღმდეგი არ არის ადმინისტრაციის ამგვარი ტაქტიკის იგი მხოლოდ ითხოვს ამ ტაქტიკის „შესწორებას“. სახელდობრ, იგი წინააღმდეგია, რომ მთავრობა ძალიან ხშირათ მიმართავდეს ხოლმე აღნიშნულ დახმარებას. იგი სწერს:

„ადვილათ შესაძლებელია, რომ კრიტიკულ წუთებში, როდესაც რევოლიუცია ხძლევდა, როდესაც საფიქრებელი იყო მთავრობის დაწესებულებათა დაპყრობა და სხ., ადგილობრივ მთავრობას (უმაღლეს ადმინისტრაციას) სხვა საშუალება აღარ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ შემწეობის სათხოვნელათ მიემართნა კავშირისთვის (ჭეშ. რუს. პატრიოტებისთვის) ის, ვინც იღუპება, იმას აღარ დაგიდევს, თუ ვის ეკუთვნის მშველელი ხელი.

მაგრამ, როგორც მუდმივი მოვლენა კი, ადმინისტრაციის კავშირთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა სრულიად შეუწყნარებელია (Совершенно недопустимо).

მინისტ პრემიერის სახლი-კაცის მხრივ ესეც დიდი გულ-კეთილობა და ყოველ შემთხვევაში, საუცხოვო გულ-ახდილობაა.

# პარტიების ცხოვრებიდან

**პლეხანოვის ახალი წიგნი.** გაზეთები იუწყებიან, რომ გ. ვ. პლეხანოვი ამ ჟამათ ამზადებს წიგნს სინდიკალიზმის შესახებ. რუსეთში დღემდე გამოდიოდა სინდიკალიზმის მომხრეთა წიგნები. პლეხანოვის წიგნი მიმართულია სინდიკალისტების წინააღმდეგ, ის რუსეთში გამოიცემა.

**რუსის ხალხის კავშირი სულს ღაფავს.** „როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო“, სწორეთ ამ პოგრომშჩიკების კავშირზე ყოფილა ნათქვამი. თუმცა მისი მთავარი საბჭოს ანგარიშით, მასში 500,000 წევრი ირიცხება, მაგრამ ეს რიცხვი მეტის-მეტათ თურმე გაუზვიადებიათ „ტაქტიურ“ მოსაზრებით; მეორე მხრით, კავშირში ჩაწერილი ყოფილა გლეხთა მთელი საზოგადოებანი თვით გლეხების სურვილის წინააღმდეგ, რომლებისათვისაც საწევრო ფულიც პოლიციის შემწეობით უხდევინებიათ. გლეხები თურმე ყოველ ღონისძიებს ხმარობენ თავიდან აიშორონ შავრაზმელ-მოკავშირის სახელი, რომელიც მათ აუტანელ სასჯელათ მიაჩნიათ. აკი აუწყებენ თურმე საბჭოს თვით შავრაზმელი „მომუშავენი“. რაც შეეხება გლეხების „კეთილსაიმედობას“, თითქმის ყველას აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობა ქონია მიღებული, ზოგ მათგანს პოგრომშჩიკების გადაწვაც კი ბრალდებათ. კავშირის ქალაქელ წევრთა უმრავლესობას შეადგენენ—ყასბები და წვრილი ვაჭრები, რომლებიც სხვა პარტიებს არ იცნობენ, შემდეგ დაქირავებული მაწანწალები და ხულიგანები, ბოლოს მემამულეები და მექარხნეები. კავშირი მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას დაუყენებია ფეხზე: მისი მოქმედების დაწყების დროს მასთვის ვიღაცებს დიდი ფული, ნახევარ მილიონამდე შეუწირავთ, რომლის შემწეობითაც იგი მთელი ორი წელიწადი პროპაგანდას ეწეოდა. მაგრამ მთელი ამ დროს განმავლობაში კავშირის მეთაურებს შორის ფულების გამო განუწყვეტელი აყალ-მაყალი იყო, ამას, სხვათა შორის, შედეგათ მოყვა კავშირიდან ილიოდორის განდგომა, რომელიც მოკავშირეებმა გიჟათ მონათლეს. ამ ჟამათ კავშირის საქმე სულ უარ-და უარ მიდის. არჩევნები მოახლოვდა, მოწოდებების გამოსაშვებათ ფულია საჭირო, დრუჟინიკები და აგიტატორებიც ფულს თხოულობენ და ფული კი არსადაა. ბევრი „მომუშავე“ უკვე გაიქცა კავშირიდან ფულის მიუღებლობის გამო. დღე დღეზე დაიკეტება გაზ. „რუსკოე ზნამია“—აგრეთვე უფულობის გამო. კავშირს სრული დანგრევა მოელის, რადგან მისი მოწოდება ფულით დახმარების შესახებ რჩება „ხმათ მღაღადებლისათ“, და მაშინ „პოგრომების“ მოწყობაც უეჭველათ გაძნელდება—ხსენებულ კავშირს ხომ უმთავრეს მიზნათ „პოგრომების“ გამართვა აქვს დასახული.

**მშვიდობიან განახლების პარტიაც** მთავრობას „კრამოლნიკურ“ პარტიათ უცვნია და მის კრებაზედაც კი ნება არ დაურთავს. ამ პარტიასაც ლეგალიზაცია არა ქონდა მოპოვებული.

# პროვინცია

**დიმის საზოგადოება** (ქუთაისის მაზრა). დიმის სოფლის საზოგადოებას ჩრდილო-დასავლეთით უძევს ვებერთელა ტყე თავისი მშვენიერი ჭალა-მინდვრებით. ეს მამული შეიცავს 7000 დესეტინას, ე. ი. 18,666 ქცევასა და 600 ოთხ-კუთხ საჟენს და შეადგენს ალექსანდრე ანანოვისა და მისი ძმისწულების მემკვიდრეების (ორი დის) საკუთრებას. ეს ტყე ერთად ერთი წყაროა, რომელიც აღნიშნულ საზოგადოების სოფლებს: ობჩას, როდინაულს, ცხენთაროს, სვიათ მადალს, და დიმს აძლევს შეშას, წნელს, ხარდანს, სარს. აგრეთვე საქონლისათვის საბალახოს. განმათავისუფლებელ მოძრაობამდის ძლიერ ძვირათ უჯდებოდათ მოხსენებული სოფლების მცხოვრებთ ამ მამულით სარგებლობა: მაგ., ქცევა მიწაში იხდიდენ იჯარას 15 მანეთიდან 20-მდის, საჟენი სარი უჯდებოდათ 25 მანეთი, ზოგჯერ სრულიადაც ვერ შოულობდენ, საჟენი დამპალი შეშა, შრომა რომ ჩავთვალოთ, 20 მანეთი უჯდებათ მცხოვრებთ. საბალახოც აკრძალული იყო. ტყისმცველები თითქმის ყოველ დღე იჭერდენ საქონლებს და გლეხებს სულ საქონელზე მანეთს ახდევინებდენ. სხვა გზა არ იყო და გლეხებიც ნება-უნებლიეთ ურიგდებოდენ ამ პირობებს. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ეს სასტიკი ჩარჩული პირობები შესცვალა, მემამულეებს ქედი მოახრევინა და ხალხისთვის შეღავათიანი პირობებზე ხელი მოაწერინა: ეს ორი წელიწადია ხალხი უფასოთ სარგებლობს საბალახოთი, უფასოთვე სარგებლობს წნელით, მხოლოდ ფორმალურათ ნებართვას იღებს მემამულესაგან, საჟენ სარში იხდის 8-დან 15 მანეთამდის, ქცევა მიწაზე იხდის იჯარას 3-დან 13 მანეთამდის, და სხ. ასეთმა შეღავათიანმა პირობებმა მოსპო ფარულათ ტყეთ სარგებლობა...

ამ ჟამათ ხმა გავრცელდა, რომ ამ მამულის ერთი მონაწილეთაგანი, ივანე ანანოვის მემკვიდრეები, ყიდიან თავის ნაწილს, 2000 დესეტინა ტყეს. ეს ხმები დაადასტურა მამულის მმართველმა არშაკ თადეოზიანცმა. მან წინადადებაც მისცა სვირისა და დიმის საზოგადოებას შეეძინათ მემკვიდრეთაგან აღნიშნული ტყე და მოელაპარაკნათ ფასებზე, თვითონ კი უარი განაცხადა შეეფასებინა გასაყიდი ტყე, სანამ მამულის მეპატრონეთ არ მოელაპარაკებოდა.

თადეოზიანცის წინადადებამ სვირისა და დიმის მცხოვრებლები ფეხზე წამოაყენა, ხშირათ იმართება კრებები ამ საკითხის გადასაწყვეტათ, თითქმის კონკურენციამაც იჩინა თავი: გავრცელდა ხმები, ვითომც სვირი მეტოქეობას უწევს დიმის საზოგადოებას, ვითომც ვიღაც მოსკოველ კაპიტალისტს უნდა მამულის შეძენა და სხვ.

12 აგვისტოს მოხდა დიმის საზოგადოების მცხოვრებთა ყრილობა ადგილობრივ სოფლის სასამართლოს შენობასთან. ყრილობას დაესწრო 400 კაცი, თითქმის მესამედი ნაწილი საზოგადოებისა. დიდი თათბირის

შემდეგ, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, 1) რომ ანანოვთა მემკვიდრეების ტყე ერთად-ერთი წყაროა, რომელიც აძლევს მცხოვრებთ შეშას, წნელს, ხარდანს, სარს, სახლისათვის საჭირო ასაშენებელ მასალას, საქონლისათვის საბალახოს, 2) რომ გარეშე ამ ტყისა არ არის მცხოვრებთათვის მისაწდომი არც კერძო მესაკუთრის, არც საგლეხო ბანკის საშუალებით, 3) დაინიშნოს 17 აგვისტოსათვის ყრილობა რწმუნებულების ასარჩევათ“.

ხალხი არ ზოგავს საშუალებას, რომ ეს ტყე ჩაიგდოს ხელში. როგორ დააფასებენ ადგილის მეპატრონეები დესეტინა ტყეს, ამაზეა დამყარებული საქმე. წინეთ მთელი მამული (7000 დესეტინა) ანანოვებს თავ. მირსკიდან 400,000 მანეთათ შეუძენია. ამ ჟამათ იყიდება მხოლოდ ნაწილი, 2000 დესეტინა და ამ ნაწილს, როგორც ამბობენ, ერთ მილიონათ აფასებენო, ასე რომ დესეტინას 500 მანეთი მოუწევს.

ვ. ობჩელი.

—

**ქოლობანი.** (სენაკის მაზრა) სიმშილობასთან ერთათ დიდ გაჭირვებაში აგდებს მცხოვრებთ სოფლის ქურდ-ბაცაცები, რომლებიც უმოწყალოთ სცარცვავენ ხალხს. ამ დღეებში აქ გაძარცვეს კვერცხით მოვაჭრე ურიები. ერთს 50 მანეთი წაართვეს და მეორეს 80. ყაჩაღებს დაედევნენ სოფლელები, მაგრამ მათ გაასწრეს და მიიმალნენ.

— 16 აგვისტოს ბ. კობახიძის რეჟისორობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს 4 მოქმედებიანი პიესა „მეზობლები“ ტ. რამიშვილისა. წარმოდგენამ ძლიერ სუსტათ ჩაიარა, ყველას მოუმზადებლობა ემჩნეოდა გარდა ორისა. ბ-ნ კობახიძეს მენაბდიშვილის როლში არა უშავდა, ქ-ნ ჩიქოვანს ტასოს როლში, თუმცა მასაც მოუმზადებლობა ეტყობოდა. კარგი იყო თავად მარშანიძის როლში ბ-ნი სულაქველიძე. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო, თუმცა სივიწროვემ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში.

სტუმარი.

—

**რაჭა.** ამას წინათ ჩვენი მაზრის მცხოვრები ურიადნიკი მინა ჩარჩუნაშვილი მოჰკლეს სვანეთში. მკვლელობა, როგორც ხმა დადის, პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარა. მის ადგილზე სადგურ ჭრებალოდან გადაიყვანა ადმინისტრაციამ ცნობილი კოწია დადეშქელიანი რომლისგანაც ძლიერ შევიწროვებული იყო ჭრებალო და მისი ახლო მახლო სოფლები. დადეშქელიანის გადაყვანამ დიდი სიხარული გამოიწვია ხალხში, მის მაგივრათ გადმოიყვანეს ურიადნიკი გ. ასათიანი, რომელიც ჯერ ჯერობით არაფერს აშავებს თუ რომ აწი არ შეჯდა ეშმაკის ცხენზე.

ბაჯელი დვალი.

—

**ს. ბანძა.** მეტათ სამწუხარო საქმე დამართვია ბანძის ორკლასიან სკოლის ბიბლიოთეკას! თუ რამ წიგნები იყო, ვიღაცაებს სისტემატიურად გაულაგებიათ. ამის შესახებ სკოლის საბჭოს უკვე უცნობებია მთავრობისთვის, რომელსაც შესაფერი განკარგულება მოუხდენია და დღეს წიგნებიც აღმოაჩინეს და ქურდებიც. ქურდები აღმოჩნდნენ იმავ სკოლის ორი მოსწავლე. მათ ჩვენება ჩამოართვეს და გამოტყდნენ ჩვენ მოვიპარეთ, მაგრამ ერთ ვაჭარზე მიუთითეს—იმან შეგვაცდინაო, ის გვაძლევდა 1 უჯრის კლიტეს, იმით ვაღებდით და გამოგვქონდა წიგნები. ზოგიერთ წიგნებს ნახევარ ფასში თვითონ იტოვებდაო. მართლაც, ზოგი წიგნები იმ ვაჭარს დუქნში უნახეს; იგი დაჰპატიმრეს და ბოქაულს წარუდგინეს. ბოქაულთან განაცხადა: წიგნები მოსწავლეებიდან დავიგირავეო.

— 11 აგვისტოს ღამის 11 საათზე ვიღაც უცნობნი თავს დაესხნენ დუტუ პატარაიას და წაართვეს ქალიშვილი. გაიგეს თუ არა ეს ადგილობრივ დარაჯებმა, გამოედევნენ გამტაცებლებს, მაგრამ ბოლოს რაღაც მიზეზით, ყველანი გარდა ერთისა, კუდ-ამოძუებულნი ისევ უკან დაბრუნდენ. ერთი დარაჯი დაწევია მტაცებლებს ძველ-სენაკში და სამი მათგანი დაუჭერია, ხოლო სასიძო და სადედოფლო გაქცევია და დღესაც ვერ მიუგნიათ მათთვის.

ამ დღეებში სოფ. ნაგებერაოს მცხოვრებ ახალგაზრდა ყმაწვილს ს. გაბუნიას დაუნახავს რომ რამდენიმე გურული სოფლად არაყს ყიდდა. ეს ამბავი მას საჩქაროთ მამასახლისისთვის უცნობებია. გურულები მართლაც, დაუჭერიათ და ყველანი კანცელიარიაში წამოუყვანიათ ოქმის შესადგენლად, მაგრამ ამასობაში, მათ უღალატებიათ, შემხტარან თავ-თავიანთ ცხენებზე და მოუკურცხლავთ შინისაკენ.

დურღენი.

**ს. თეკლათი** (სენაკის მაზრა). სენაკის მაზრის უფროსი ბ. პაპავადინი უკვე გადაიყვანეს, იმის მაგიერ დაინიშნა ბ. მიცკევიჩი. 12 ამა აგვისტოს, თეკლათის საზოგადოების მამასახლისმა სოფლის სამმართველოს ეზოში შეკრიბა საზოგადოება. მოვიდა უფროსი და მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვებით: „გლეხებო, მე დამნიშნეს თქვენ უფროსათ, ამისათვის საჭიროა ვიცოდე თქვენი ტკივილი, თქვენი სულის-კვეთება, გაჭირვება და მეც გაგიწევ დახმარებას. მე არ მოვსულვარ თქვენთან სათამაშოთ და მხოლოდ ჯამაგირის ასაღებათ. მოველი ვემსახურო თქვენ და სარგებლობა მოგიტანოთ. ნუ დაუჯერებთ თქვენ იმ მატყუარებს, რომლებსაც თქვენი გაღარიბება და სხვისი ქონების ხელში ჩაგდება უნდათ, მრწამს, რომ თქვენშიაც მოიპოვებიან კეთილი მოაზრენი. გლეხებო! თქვენ კარგათ იცით, ჩემი უფლება დიდია: ჩემ ხელ-ქვეითაა ბოქაულები, სტრაჟნიკები და სხვა. თუ არ მომეწონა შენი სახე, შემიძლია გადაგკარგო, მაგრამ ეს უსამართლობაა. უსამართლობა რომ არ ჩავიდინო, საჭიროა თქვენივე დახმარება. მე უთქვენოთ ვერას შევძლებ, იცოდეთ თქვენი ძალა ძლიერია“. შემდეგ უფროსი ხელ-ახლა შეეკითხა საზოგადოებას: რა გესაჭიროებათო. გლეხებმა მიუგეს—ჩვენი თავი და თავი გაჭირვებაა შიმშილი და ყოველ-გვარ შინაურ პირუტყვის ქურდობა. სთხოვეს გადასახადების აკრების დროებით შეჩერება. უფროსმა შიმშილი გლეხების უმუშევრობას დააბრალა და განუმარტა მათ—ლუკმა პურს ერთად-ერთი თქვენი მარჯვენა შეგქმნით, თორემ სხვისგან არა რას უნდა გამოელოდეთო“. გლეხებმა აუხსნეს: ჩვენ არ გვიზარმაცნია, მხოლოდ ჩვენდა სავალალოთ, წელს წვიმიანმა ამინდებმა მუშაობაში ხელი შეგვიშალაო. გადასახადის აკრეფა უფროსმა ორთვემდე ადროვა ხალხს. ქურდების შესახებ უთხრა გლეხებს: ერთობა ამაში გჭირიათო, თუ კი თქვენ პირი გექნებათ, ქურდობა აღარ იქნება, შეიკრიბენით, მოძებნეთ ქურდები და მომეცითო. გლეხებმა სთხოვეს—თავად-აზნაურებიც იქნან მოწვეული, რადგან იმათ შორისაც ურევიან ქურდ-ბაცაცებიო. მაზრის უფროსი დასთანხმდა და დიდ დახმარებას დაპირდა გლეხებს ქურდების ასალაგმავათ. შემდეგ ხალხს წაუკითხა იმ პირების სახელი და გვარები, რომლებიც ცივ-ქვეყნებში იყვნენ გადასახლებულნი და უკვე გამოქცეულან, ურჩია მათ ისევ თავიანთ ადგილებში გამგზავრება.

16 აგვისტოს მეეტლე ანდრია თურქია, რომელიც ახალ სენაკიდან ძველ-სენაკს მიდიოდა ღამის თერთმეტ საათზე, ვიღაც უცნობმა მოჰკლა. მეეტლეს თურმე სტრაჟნიკი ხუბულავა მიუჯდა. ამ მკვლელობის შესახებ ბევრი სხვადასხვა ხმა ტრიალებს საზოგადოებაში.

# მუშათა შორის

—

**ორი კავშირი ერთ პროფესიაში.**

როგორც მკითხველებმა იციან, თითქმის ყველა პროფესიაში არსებობს ეგრეთ წოდებული პარტიული და უპარტიო პროფესიონალური კავშირები. რა მნიშვნელობა აქვს ამას მუშათა ბრძოლისათვის ხაზეინების წინააღმდეგ? ეჭვი არაა,—რაც ერთ პროფესიაში ხდება, დაახლოვებით ის მოხდება სხვაგანაც, ამიტომ მე შევეხები მხოლოდ მკერვალთა პროფესიას და მ. ს. კავშირებს. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოთ თფილისში და კერძოთ მკერვალთა პროფესიაში ძლიერ არეულია სხვადასხვა ნაციის მუშები,—სომეხი, რუსი, ებრაელი, ბერძენი, ქართველი და სხვა. თითქმის არც კი არის ისეთი პატარა ქარხანა, სადაც მარტო ერთი ეროვნების მუშები მუშაობდენ. აი, ამიტომ არის საჭირო ამ სხვადასხვა ერის მუშების თავის მოყრა, ერთ მტკიცე ორგანიზაციაში მათი შეკავშირება. მერე არსებობს რაიმე საერთო მათში? რასაკვირველია არსებობს. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან და მიუხედავათ მათი პარტიული რწმენისა, მათ მაინც აერთებს პროფესიის ინტერესები საჭიროება, ამ ინტერესებისთვის ალებთან ყოველდღიური ბრძოლა და ასე თავის აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომ ყველა ის, ვისაც ინტერესებს მუშების ბედ-იღბალი, უნდა ცდილობდეს, რომ ყველა მუშები შეკავშირდენ ერთ პროფესიონალურ ორგანიზაციაში, რომ სავსებით დაცულ იქნას პროფ. კავშირის მთლიანობა და არევ-დარევას ადგილი არ ქონდეს თვით მუშებში. დღეს უკვე ცხადია რუსეთის მუშებისთვის, რომ მხოლოდ შეერთებული ძალას შეუძლია ალების თავ-გასულობის ალაგმვა. ამიტომაც არის, რომ მთელ რუსეთს სოკოსავით მოეფინა პრ. კავშირები, სადაც მუშები, როგორც ერთი კაცი, ისე არიან შეკავშირებულნი და, თუ კავშირს გარეთ არიან დარჩენილი მუშები, ისინიც ნელ-ნელა უერთდებიან მათ. სულ სხვაა ჩვენში. აქ დაშნაკცაკანები კავშირების დაარსების დღიდანვე წინააღუდგენ მუშათა ინტერესებს. თავისი პარტიული კავშირით ხელი შეუშალეს პროფესიის მთლიანობას და მით დაქსაქსეს მუშათა ძალები. სამწუხაროთ სომხის მუშათა უმრავლესობა დაშნაკელების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, მათი ტაქტიკა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება მუშების ინტერესებს. ამას ვერ ამჩნევენ დაშნაკცაკანი მუშები და თავიანთი მოქმედებით ხელს უშლიან მუშათა კლასის განვითარებას.

ზემოთქმულის ჭეშმარიტებას მაგალითებით დავამტკიცებ: მკერვალების გაფიცვაა; ალები ლოკაუტით და ციხე-გადასახლებით გვიმასპინძლდებიან. კავშირს ფული აკლდება და მართავს ხელის მოწერას ამხანაგებსა და მოქალაქეებში. თუმცა დაშნაკცაკანების კავშირმა კარგათ იცის, თუ ვინ აგროვებდა ფულს, მაგრამ მათ მაინც ქვეყანას აუწყეს გაზეთის საშვალებით, რომ ვიღაც შანტაჟისტები ფულს აგროვებენ მკერვალების სახელით და ფული არავინ მისცეთო. რომ შევეკითხეთ ასეთ მოქმედებაზე, თავი იმით იმართლეს, რომ არ ვიცოდით, თორემ დახმარებას ჩვენც გაგიწევდით, მხოლოდ რასაც მოაგროვებდით, იმის ნახევარი ჩვენი უნდა ყოფილიყოო. დიდიხნის ბრძოლის შემდეგ 25 უფრო დიდ სახელოსნოში გაფიცვა მუშების გამარჯვებით დასრულდა. სხვა მოთხოვნილებებთან ერთათ მუშებმა მიიპოვეს მუშების მიღება-დათხოვნის უფლებაც. კავშირმა ამოირჩია უსაქმოთ დარჩენილთა კომისია, რომელიც დაშნ. კავშირის კომისიასთან ერთათ ხელმძღვანელობას გაუწევდენ უსაქმოთ დარჩენილებს. დაშნაკცაკანებმა ეს არ ისურვეს და ცალკე დაიწყეს მოქმედება, ისინი ადგილს აძლევენ თავის წევრებს, ჩვენსას კი უარს ეუბნებიან, მეტადრე სარგებლობენ იმ ქარხანაში, სადაც მათი წევრები უმრავლესობას შეადგენენ, ხმას არ აძლევინებენ უმცირესობას და ხმის უმრავლესობით წყვეტენ, მიიღონ თუ არა ესა თუ ის კანდიდატი. იქ კი, სადაც ჩვენი წევრებია უმრავლესობა, იქაც არ შეგვიძლია ჩვენი კანდიდატის მიღებინება, თუ უფროსისაგან ნებართვა არ მიიტანე და არ დაარწმუნე მათი წევრები, რომ ეს მათი ნ—ას გამოგზავნილია. ჩვენმა უპარტიო კავშირმა რამდენჯერმე მისცა წინადადება, რომ ერთათ ემუშავნათ კომისიებს და რიგ-რიგზე ჩაეყენებიათ მუშები სამუშაოზე. სიტყვით დაგვპირდენ, მარა საქმით სხვას ჩადიან. ამ ორი დღის წინეთ ექსელანსის სახელოსნოში მათ მიიღეს ქალთა ტან. მკერვალის ადგილზე ისეთი მუშა, რომელმაც ამ ხელობის არა იცის რა (კაცთა ტან. მკერვალის) ეს იმ დროს, როცა იმ ხელობის მცოდნე მუშები 10—15 კაცი ქუჩაში შიმშილით სულს ღაფავს, მხოლოდ იმიტომ, რომ დაშნაკცაკანებს მიიღებენ! პარტიის წევრები არ არიან... ესეც არ იკმარეს... ბაქოში წერილი მისწერეს ერთ მუშას, ადგილიდან გამოიყვანეს და აქ დასვეს ექსელანთან სამუშავოთ. ჩვენ გაზეთებში ვაცხადებთ, არავინ ჩამოვიდეს სამუშაოთო. ისინი კი კაცს იწერენ სამუშაოთ იმ დროს, როდესაც ქალის და კაცის მკერვალ უმუშევართა რიცხვი მეტი თუ არა სამოცამდე მაინც იქნება. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მუშებში და არევ-დარევა შეიტანა მთელ პროფესიაში. იმ ქარხნის მუშების უმცირესობას, სადაც ამ ორი მუშის მიღება მოხდა, პროტესტი განუცხადებია პარტიულ კავშირისთვის ასე უსამართლოთ მოქცევისთვის.

ისინიც თავის მხრივ მუქარ-კრივით დამუქრებიან მუშებს. ჩვენ გადმოგვცეს, რომ დუმის არჩევნების შემდეგ თურმე ძალიან გაჯავრებული არიან და გაიძახიან: „თუ გინდათ, პარტია პარტიას დავატაკოთ, თუ არა და ჩვენ ასე გვსურს და ასე ვიქცევითო“. ნუ თუ არ იციან იმის მთქმელებმა, დაშნაკცაკანმა მუშებმა, რომ ჩვენი კავშირი უპარტიოა, რომ აქ პარტიობას ადგილი არა აქვს. ნუ თუ არ იციან, რომ კავშირში სხვა და სხვა რწმენის მუშები შედიან და ნაწილი დაშნაკცაკანებისაც!

იციან, მაგრამ შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, მაინც ქადაგობენ ასეთ აზრებს დაშნაკცაკანების ზეგავლენით. ნუ თუ ასეთი დაბრმავება დიდხანს გასტანს? უკანასკნელათ უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. შნ. კავშირის ასეთმა მოქმედებამ უმუშევრებში ცუდი გავლენა მოახდინა. ისინი ისე აღელვებული არიან, რომ ზოგმა პირდაპირ აგიტაცია დაიწყო ნაჭრობით მუშაობის სასარგებლოთ და კავშირის წინააღმდეგ. როგორც გავიგეთ ცალკე კრებაც ქონიათ ამის შესახებ. რა აზრს დაადგენ, ჯერ არ ვიცით.

ამნაირათ, მუშათა შორის დამოკიდებულება თან და თან მწვავდება, მაგრამ იმედია, რომ შეგნებული ამხანაგები მხნეთ ჩაერევიან ამ კონფლიქტში და ყოველივე პროვოკაციას თავიდან აიცილებენ.

საჯაოხელი.

## პროფესიონალური კავშირები და მათი მნიშვნელობა.

II

**კავშირების შორეული მნიშვნელობა.**

წინა წერილში ჩვენ ვთქვით, რომ პროფესიონალურ კავშირებს აარსებენ მუშები არა იმისთვის, რომ დღეს გაბატონებული წყობილება ძირიანათ მოშალონ, მისი საფუძველი ამოაგდონ, არამედ იმისთვის, რომ არსებულ ურთიერთობის ნიადაგზე, რამდენათაც შესაძლებელია, გააუმჯობესონ თავისი მდგომარეობა, შექმნან არსებობის უფრო შეღავათიანი პირობები. ასე უცქერის კავშირებს მუშების ფართე მასსა, რაც ძალიან აფრთხობს მუშათა კლასის ზოგიერთ მოკეთეებს და აზარებს მტრებს.—ყოველივე ასოციაცია იმ პირების, რომელნიც ერთგვარ სამუშაოს ასრულებენ და ამიტომ ერთგვარ პროფესიონალურ ინტერესების მქონნი არიან, აუცილებლათ გაჟღენთილია ეგოისტურ *) მისწრაფებებით, ე. ი. ცდილობს თავისი კერძო ინტერესები საერთო ინტერესებზე მაღლა დააყენოს, ამბობს შარლ ჟიდი. „რა არის მეოთხე წოდება?“ კითხულობს ლერუა-ბოლიე: „ეს პრივილეგიების (უპირატესობანი) და კასტების აღდგენაა, ესაა გამოყოფა ხელოსნების საერთო ბრბოისაგან იმათი, ვისაც უკეთესი ხელფასი ეძლევათ, ეს არის რჩეულ უმრავლესობის, გაპუდრულ და მოუსვენარ ინტრიგანების ბატონობა საწყლებზე“—უპასუხებს თვითონვე. ზემოხსენებულ ბურჟუების ნათქვამს ბანს აძლევენ ზოგიერთი მუშების მეგობრებიც. მათ, რასაკვირველია, ამისი საბუთიც აქვთ,—ეს არის ინგლისის და ამერიკის ტრედ-იუნიონები, ე. ი. პროფესიონალური კავშირები, რომლებმაც შავმუშებზე მაღლა დასკუპებით და სოციალიზმისადმი გულგრილობით ისახელეს თავი. დასკვნა ასეთია: კავშირები კერძო, პროფესიონალური ინტერესებით არიან გამსჭვალულნი, მათი დამახასიათებელი თვისებაა—კორპორატიული ეგოიზმი, ე. ი. ჯგუფობრივი თავმოყვარეობა, კერძო ინტერესების გულისთვის მუშათა კლასის საერთო ინტერესების დავიწყება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ერთ დიდ შეცდომას უშვებენ—აღნიშნულ მოვლენას უყურებენ განყენებულათ, მათ არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ, რომ უცვლელი ამ ქვეყანათ არაფერია, რომ ყოველსავე მოვლენას თან სდევს ორნაირი სახე, რომელთაგან ერთი ვითარდება, ხოლო მეორე სუსტდება და შემდეგ თანდათან ქრება. სწორეთ ასე უნდა შევხედოთ კავშირების კარჩაკეტილობას, მათ ეგოიზმს. მეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ მაგალითი ისტორიიდან. ავიღოთ ინგლისი. პირველი კავშირები დაუარსებიათ იქ მექუდეებს, შემდეგ სტამბის მუშებს და სხვ. საზოგადოთ, ყველა ქვეყნებში პირველი კავშირი დაუარსებიათ მანუფაქტურის მუშებს. მაშ გამოდის, რომ მანქანურ წარმოებაში პირველ საფეხურზე და აგრეთვე, კაპიტალისტურ შინაურ წარმოებაში სრულებით არ ხერხდებოდა კავშირის შექმნა, თუმცა შრომის აუტანელი პირობები იყო გამეფებული. პირიქით, მანუფაქტურის მუშები უკეთეს ყოფაში იყვნენ, მათ ცოდნაც, გამოცდილებაც და სხვ. უწყობდა ხელს, რომ მუშებში პირველი ალაგი სჭეროდათ. რა მოხდა შემდეგ? მანუფაქტურის მუშები შეუდგენ იმის ცდას, რომ მათ მეტოქე არ გამოსჩენოდათ. რათ ახერხებდენ ამას? რა იყო საჭირო? ისინი უმთავრესათ ცდილობდენ გაედიდებიათ ვადა ხელობის შესასწავლათ და ამის და სხვა საშუალებების მეოხებით თავის მიზანს აღწევდენ. მაგრამ დრონი იცვალენ, მანქანა წარმოების ყველა დარგს მოედო და მუშაობა გამარტივდა, მისი შესწავლა გაადვილდა. ამ გარემოებამ კი შეუძლებელი გახადა კარჩაკეტილობა, მუშების ერთი ნაწილის უპირატესობანი საფრთხეში ჩავარდა. ასე ხდება ყველგან, სადაც კი კაპიტალიზმი განვითარდა. ამიტომაა, რომ ინგლისის ტრედ-უნიონები, რომელნიც ძილს უფრთხობენ ზოგიერთ ამხანაგებს, ძველ გზას ტოვებენ და ახალ პოლიტიკას ითვისებენ. ტრედ-უნიონების უმრავლესობამ უარყო შეზღუდველი ზომები—ხელობის შესწავლის ვადის გადიდება და შევიწროება—რომლითაც წინათ თავის უპირატესობის დაცვას ცდილობდენ და ეს მოხდა სწორეთ იმ დარგებში, სადაც მანქანა შეიჭრა. ძველ გზას ადგანან: ბეჭდვითი საქმის მუშების—ასოთამწყობები, ლიტოგრაფები და სხ.—მექუდეები და კარეტების მკეთებლები, ე. ი. ისეთი დარგები, სადაც მანქანა ვერ გაბატონდა, ტრედ-უნიონები სოციალისტურ იდეებსაც ითვისებენ თუმცა ერთობ ზანტათ. 1890 წელს ლივერპულის კონგრესზე მხოლოდ **ექვსი** ხმის უმეტესობით გავიდა ის აზრი, რომ საჭიროა 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება. ძველი ტრედ-უნიონები ძველ გზას ადგანან, ახლები მათ უკიჟინებენ, რომ შემოსავალთან ერთათ მათ „შეიძინეს კონსერვატიზმი, ბანკის დირექტორის ხასიათი“. ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგობა არისტოკრატ და შავ მუშათა შორის სუსტდება და არა იზრდება. ესევე ითქმის ამერიკის ტრედ უნიონებზედაც.

აქედან ცხადია ის, რომ უსაფუძვლოა კავშირების კარჩაკეტილ ორგანიზაციებათ გადაქცევის შიში. კაპიტალისტურ წყობილების მიერ წარმოშობილი უკუღმართობანი და მუშათა პარტიის სალი, წინდახედული პოლიტიკა თავმდებია იმისი, რომ პროფესიონალური კავშირები მხოლოდ სარგებლობას მოუტანენ მუშათა კლასს. რაში მდგომარეობს ეს სარგებლობა, როგორია კავშირების შორეული მნიშვნელობა.

პირველ ალაგზე აქ, ჩვენი ფიქრით, უნდა დავაყენოთ მუშათა ფართე მასსის ორგანიზაცია. სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია და აგრეთვე სხვა სოციალისტური პარტიებიც უყურადღებოთ არ სტოვებენ ამ კითხვას, განსაკუთრებით სოციალდემოკრატია ერთობ დიდ მნიშვნელობას აძლევს მას. მაგრამ არავისთვის არ არის დაფარული ის, რომ სოციალდემოკრატია ვერ ახერხებს მუშების ფართე მასსის შეკავშირებას, რადგან პარტიაში შედიან მხოლოდ შეგნებული და უფრო ენერგიული მუშები. პარტიას დიდი იდეიური გავლენა აქვს მუშებზე, მაგრამ მისი ორგანიზაციული კავშირი მასასთან ერთობ სუსტია, თითქმის არც კი არსებობს ასეთი კავშირი. ამიტომ პარტიის ეს ნაკლი პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა შეამსონ, მხოლოდ პროფესიონალურ კავშირებს შეუძლიათ თავი მოუყარონ მუშათა ფართე მასას, რადგან ამ უკანასკნელს არ ესმის მუშათა საერთო ინტერესი, მას დღიური ლუკმა უფრო აინტერესებს, ვინემ სოციალისტურ წყობილებაში საერთო ბედნიერება-კეთილდღეობა. ვიმეორებთ, პროფესიონალური ორგანიზაცია, იმ ხასიათის ორგანიზაცია, რომელსაც მუშების ფართო მასსის თავის მოყრა შეუძლია, ეს კი საუკეთესო შკოლაა მუშებში სოლიდარობის გრძნობის გასაძლიერებლათ, ბრძოლის ინსტინქტის გასაღვიძებლათ, ცხადია მასსა პირველ ხანებში სრულებით არაა დაინტერესებული, რომ კავშირები მებრძოლ ორგანიზაციებათ იქცენ, ზოგიერთი მეთაურები ამოთ ურჩევენ კავშირებს: მოსპეთ წევრებისათვის დახმარების მიცემა ავათმყოფობის და სხვა ასეთ შემთხვევების დროს და კასა მხოლოდ გაფიცვებისთვის გადასდეთო. მასსას არც ეს ესმის და თუ კავშირებმა უსათუოთ ეს გზა აირჩიეს, ისინი უეჭველია ჩამოშორდებიან მასსას, რადგან მასსას დღიუ-

*) ეგოისტი—თავმოყვარე.

რი ლუკმა პური უფრო აინტერესებს ვინემ რაღაც განყენებული გრძნობა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კავშირი არ იბრძოლებს; პირიქით, როცა მასა დაინახავს, რომ კავშირი მას დახმარებას უწევს, ის კავშირს მხარს გაუმაგრებს, წევრათ ჩაეწერება, ეს კი კავშირს გააძლიერებს. ხაზეინებთან ბრძოლის საჭიროებას თვითონ ხაზეინები დაანახვებენ მუშებს, როცა თავიანთ კავშირებს დააარსებენ, პრაქტიკა კი თანდათან დაარწმუნებს მუშებს, რომ ბრძოლისთვის მზადებაა საჭირო. ერთი სიტყვით, კავშირი საუკეთესო შკოლაა, სადაც მუშა ეჩვევა ბრძოლას, ითვისებს სოლიდარობის გრძნობას, ითვალისწინებს ხაზეინების და მუშების ინტერესთა შეურიგებლობას. ამას გარდა კავშირი მომავალ წყობილების ჩანასახია, მისი პირველი სახეა. აქ მუშა ეჩვევა საერთო საქმის კეთებას, აქ ვითარდება დისციპლინა, ე. ი. საერთო საქმისთვის პირად ინტერესის დისციპლინის უარყოფა. ჩვენი დასკვნა ასეთია. პროფესიონალური მოძრაობა იგივე მუშათა კლასის მოძრაობაა, რომელსაც ერთი მხარე აქვს—პოლიტიკური და ეკონომიური; ეს უკანასკნელი იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ მისი უყურადღებოთ დატოვება მუშათა საქმის ღალატია. გარდა ამისა პროფესიონალური მოძრაობა თავისი გზით მიდის, მისი არევა ან პოლიტიკურ ორგანიზაციის ბატონობის ქვეშ დაყენება მავნებელია და ამიტომ უარყოფილ უნდა იქნეს.

—იძე.

### შავრაზმელები და მუშები

რუსეთის მუშათა კლასი ყველასაგან ცნობილია, როგორც ავანგარდი განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ის ყოველთვის პირველ რაზმებში იდგა და ძველ რეჟიმთან ბრძოლაში არ ზოგავდა თავის ძალას და ღონეს. ის სამაგალითო გახდა მთელი ქვეყნისათვის. განმათავისუფლებელი მოძრაობა დაყრდნობილი იყო მუშებზე და საკმარისი იყო ეს უკანასკნელნი შეჩერებულიყვნენ და თვით მოძრაობაც შეჩერდებოდა. ასეთი საპატიო როლი არგუნა ისტორიამ რუსეთის მუშათა კლასს. ამას გრძნობდა ყველა,—როგორც მტერი ისე მოყვარე. როცა რეპრესიებმა არ გასჭრა მუშების წინააღმდეგ, შეეცადენ ცნობილი ზუბატოვის შემწეობით ჩამდგარიყვენ მუშებში და ერთგვარი აგიტაცია-პროპაგანდის გაწევით თავისკენ გადმოებირებიათ ისინი. როგორც ვიცით, ეს გეგმა კრახით დათავდა; მას შემდეგ ძველი რეჟიმი არ ცდილა მუშები „მოექციანებია“, ვინაიდან ის წარსულის გამოცდილებით დარწმუნებული იყო, რომ ასეთი ცდა კარგს არაფერს მოიტანდა. მაგრამ ქვეყანას გადაეფარა რეაქციის ბნელი ზეწარი. ძველმა რეჟიმმა დროებით სძლია ახალი რუსეთის ნორჩ ძალებს. რეაქციის სუსხი ყველაზე უფრო მწვავეთ მუშებს მოხვდათ. ენით გამოუთქმელ რეპრესიებს ზედ დაერთო ლოკაუტები, რომლებმაც აურებელ უმუშევრებს ათასები და ასიათასები მიუმატა. ამ გაჭირვების ნიადაგზე ზოგიერთ შემთხვევებში გავლენას პოულობს შავრაზმელების აგიტაცია. ეს განსაკუთრებით ისეთ ელემენტებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ გაშორებია სავსებით სოფელს და წვრილი ბურჟუაზიული პსიხოლოგია მათ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. როგორც რუსულ გაზეთებში იყო აღნიშნული, ამ ბოლო ხანს შავრაზმელები ძლიერ ცდილობენ ფართე კავშირი გააბან მუშათა მასსასთან, შექმნან სპეციალური ორგანიზაციები ხულიგან მუშებისაგან და ამნაირათ ქვეყანას აუწყონ, რომ მუშებიც ძველი წყობილების მომხრეა და რევოლიუცია მხოლოდ „ინოროდცების“ გამოგონილი საშვალებაა „დიდებული რუსეთის დასაღუპავათ“. რომ ასეთი პრეტენზია მართლაც აქვს შავრაზმელებს, ამას მოწმობს მთავრობის ოფიციოზი გაზ. „როსსია“. ამ გაზეთის 519 №-ში დაბეჭდილია სტატია ვინმე ა. ვოლინეცისა, სათაურით „მუშები და რევოლიუცია“. ავტორს მოყავს ზოგიერთი მაგალითები, როცა მუშები სოციალდემოკრატების წინააღმდეგ წასულან და რეაქციონერებს გაყოლიან უკან. აქედან მას ის დასკვნა გამოყავს, რომ რუსეთის მუშები არ ეკუთვნიან რევოლიუციას. და თუ ზოგიერთი ელემენტები ჯერ კიდევ არ ჩამოშორებიან მას, ეს იმიტომ რომ „ინტელიგენტ-ინოროდცები“ მოხერხებულათ ატყუებენ მათ. ოფიციოზის აზრით რუსეთის მუშების რევოლიუციონერობა მხოლოდ უბრალო „ნედორაზუმენიე“ იყო, რომელსაც ამიერიდან ულაპარაკოთ ბოლო მოეღება.

ასე თამამათ და წარბ-შეუხრელათ მსჯელობს მთავრობის გაზეთი მუშების შესახებ და მის ამნაირ ქცევაში სავსებით გამოსჭვივის წათამამებული რეაქციის სულის კვეთება. ცხადია, „ზუბატოვშჩინა“ სრულ ფორმით კიდევ აღსდგება მკვდრეთით. „Тов.“-ში დაბეჭდილია ოქტომბრისტების გაზეთ „Голосъ Москвы“-დან გადმოღებული შემდეგი ცნობა: „მემარჯვენეთა ორგანიზაციები მხნეთ შეუდგენ ნაკლებ შეგნებული მუშების შეკავშირებას, რომელთაც თავი მიანებეს (?) მემარცხენეებმა, როგორც გამოუსადეგარ ელემენტებს. ამ დღეებში გაიხსნა კურსკის რკინის გზის სახელოსნოში „რუსის ხალხის კავშირის“ მუშათა განყოფილება. ასეთსავე საქმეს შეუდგენ „სოიუზნიკები“ მოსკოვ-ბრესტსკის რკინის გზის სახელოსნოებში. მოსკოვის ზოგიერთი ფაბრიკის მუშებში ვრცელდება „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის“ წესდების გექტოგრ ფიული პროექტი. პარტიის მიზანი სავსებით ეკონომიური და პროფესიონალურია. წესდებაზე მხოლოდ იმ მუშებს აწერინებენ ხელს, რომელნიც არ თანაუგრძნობენ სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების მოღვაწეობას“.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთ საერთო კრიზისის დროს მუშათა ზოგიერთ ელემენტებში ძველი რეჟიმის მოციქულები შესძლებენ თავის გავლენის განმტკიცებას. რეაქციას გახრწნილება შეაქვს საზოგადოების ყველა ჯგუფებში. ჩვენ არას ვამბობთ, იმაზე თუ რამდენათ ხანგრძლივი იქნება ასეთი მდგომარეობა. საჭიროა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ჩვენ ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ და შავრაზმელთა აგიტაციას დაუპირდაპიროთ თავისი მართალი სიტყვა. ჩვენთვის საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ დაბოლოს მუშები მაინც ჩამოშორდებიან ანტიპროლეტარულ ორგანიზაციებს, მათ შორის ყველაზე უმალ შავრაზმელების ორგანიზაციას, და დაუბრუნდებიან თავის ჭეშმარიტ კლასობრივ პარტიას. არა, ჩვენ აქედანვე უნდა ვებრძოლოთ შავრაზმელების გამხრწნელ გავლენას შეუგნებელ მუშებზე. მართალი არ არის ზოგიერთების აზრი, თითქო, რაკი რომელიმე მუშა შავრაზმელებში ჩაეწერა, ის ჩვენთვის დაკარგულია და არც უნდა ვეცადოთ მის ჩვენსკენ გადმობირებას. ჩვენ შეგვეძლო რუსეთის ჟურნალ-გაზეთებიდან მოგვეყვანა აუარებელი ფაქტები იმისა, რომ ყოფილი შავრაზმელი მუშები ჩვენსკენ გადმოსულა და ჩვენ მოღვაწეობაში შეგნებული მონაწილეობა მიუღიათ. ეს რომ ასე მოხდეს, ამისთვის საჭიროა გვერდი არ აუხვიოთ შემცდარ გზაზე დამდგარ მუშებს და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევით, პროფესიონალურ კავშირებში მუშაობით, ე. ი. თავისი ყოველდღიური მოღვაწეობით ვეცადოთ მუშათა ფართე მასსაში განვავითაროთ კლასიური თვითმოქმედება და აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ მას კლასობრივ ბრძოლაში, რომელსაც დღეს რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე ელემენტები ეწევიან.

## რუსეთის ამბები

**საარჩევნო კამპანია.** 26 ავგისტოს მოხდა ნევის ზასტავის რაიონის მუშათა კრება სახელმწ. დუმის არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლათ. ზოგიერთმა მუშებმა ბოიკოტზე დაიწყეს ლაპარაკი. მუშათა უმრავლესობა არჩევნების მომხრე იყო და ამტკიცებდენ ბოიკოტის უსაფუძვლობას და უაზრობას. კრებას რეზოლიუცია აღარ გამოუტანია. 25 ავგისტოს მოხდა ვასილევის ოსტროვის რაიონის მუშათა კრება იმავე კითხვის თაობაზე. დაესწრო 200-ზე მეტი მუშა დაადგინეს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში—პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ყველა უჩასტკების სამმართველოებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა: „სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით, ზოგიერთ, მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიებს სახეში აქვთ არა მარტო ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწ. დუმის მომავალ არჩევნებს, არამედ ძალით ხელი შეუშალონ არჩევნების წესიერ მსვლელობას ამრჩეველთა სიების გაფუჭებით, და განადგურებით, აგრეთვე ხმაურობის და ალიაქოთის ატეხით საარჩევნო კრებებზე არჩევნების ჩასაშლელათ; ამის გამო ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას მიიღოთ საიმედო ზომები იმ დაწესებულებათა დასაცველათ, რომლებშიც შენახული ან გამოკიდული იქნება ხსენებული სიები, და აგრეთვე წესიერების დასაცველათ არჩევნების დროს... წესიერების დამრღვეველთა შესახებ-კი მიიღეთ შეუდგარი და მკაცრი ზომები, დაიჭირეთ ისინი თავის დროზე და მიეცით სისხლის სამართალში; თუ ამისათვის ფორმალური საბუთები ხელთ არ გექნათ, დასაჯეთ დამნაშავენი ადმინისტრატიული წესით, ანდა საქმის ვითარების მიხედვით, მიწერ მოწერა გამართეთ „ოხრანის“ მიმართ.

— ამ დღეებში გუბერნიების და ოლქების ყველა უფროსებმა **მოწერილობა** მიიღეს დაუყონებლივ შეუდგენ საარჩევნო კამპანიის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მოწოდების მოწყობას. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს თავის დროზე ცნობების მოწოდებას იმ კანდიდატების შესახებ, რომლებსაც მეტი შანსი აქვთ, რომ არჩეულ იქნებიან. სამინისტრომ უნდა გაეგზავნოს საარჩევნო კრებების სისტემატიური მიმოხილვა.

— სმოლენსკის გუბერნიაში **გლეხები** ძალიან უიმედოთ უცქერიან თურმე მომავალ არჩევნებს. „რა თავში ვიხლით ამ დუმას რას გაგვიკეთებს ჩვენ ის? გინდა აგვირჩევია, გინდა არა—ჩვენ მაინც მიწას ვერ ვეღირსებითო“, ამბობენ ისინი. დუმის მნიშვნელობის ახსნა მათთვის ვერავის უკისრია ახლანდელ „კონსტიტუციონურ“ რეჟიმის მეოხებით. ვრცელდება მხოლოდ „ჭეშმარიტ რუსების“ ფურცლები, რომლებიც გლეხებს კიდევ უფრო უბნევენ დავთარს. ერთი მხრით, ზემსკი ნაჩალნიკი უბრძანებს: ამა და ამ დღეს გამოცხადით რწმუნებული ასარჩევათო, მეორე მხრით ვრცელდება მოწოდებები, რომლებიც გლეხებს აგრეთვე მთავრობისაგან გონიათ, და იქიდან ტყუბილობენ, რომ დუმა საჭირო არ არის, ის ჟიდების და ინტელიგენციის მოგონილიაო. მოდი და ნუ აირევათ დავთარი!..

**პურიშკევიჩი.** ხერსონისა და ბესარაბიის გუბერნიების ქალაქებში და მაზრებში პურიშკევიჩი ამ ჟამათ თურმე ლექციებს კითხულობს მეორე დუმის შესახებ, ოდესაში მას პასუხის გებაში მიუცია გაზ. ოდესსკია ნოვოსტის“ რედაქტორი იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს გადმოუბეჭდია ცნობა 8 ათასი მანეთის შესახებ, რომელიც თითქო პურიშკევიჩს „რუსის ხალხის კავშირისაგან მიუღია საზღვარ გარეთ წასასვლელათ და საექიმოთ. პურიშკევიჩი აცხადებს, რომ ის არ წასულა საზღვარ გარეთ, სრულიად ჯანსაღათ არის და ყოველ ღონეს იღონებს დაიჩქაროს მესამე დუმის გარეკა, თუ ისიც „მოკავშირეებს“ ქკუაში არ დაუჯდათ.

**რეპრესიები პრესის წინააღმდეგ.** ოფიციალურ ცნობებით, 1907 წლის 1 ლ იანვრიდან 1-ლ ავგისტომდე მთავრობას აღუძრავს 400 სალიტერატურო საქმე, შეუჩერებია 600 გამოცემა, დაუჭერია 300 ცალკე ნომრები, პასუხის გებაში მიუცია 400 რედაქტორი და ავტორი, სულ 760 რეპრესიული აქტი, 212 დღეში! 1905 წ. 17 ოქტომბრიდან 1907 წ. 1-ლ ავგისტომდე პასუხის გებაში მიუცია და დაუჭერიმებია 1,007 რედაქტორი და გამომცემელი.

**როგორ ეხმარება მთავრობა უმუშევარ მუშებს.** ბელოსტოკიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივმა გენერალ-გუბერნატორმა სამი თვით ციხეში დაატუსაღა ექვსი მუშა, რომლებიც ტროსტიანში შემოწირულებას აგროვებდენ უმუშევარ მუშების სასარგებლოთ.

**მიტინგებში მონაწილეობის აკრძალვა.** გზათა სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა რკინის გზათა სამართველოებს, რომლის თანახმათ რკინის გზის ყველა მოსამსახურენი ვალდებული არიან მონაწილეობა არ მიიღონ მთავრობის-მიერ ნებადაურთველ პოლიტიკურ კრებებში და მიტინგებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამსახურიდან დათხოვნილი და პასუხისგებაში მიცემულ იქნებიან.

**გლეხ დეპუტატებს** მეორე დუმასას, რომლებიც დუმის გარეკის დროს წასული ყოფილან ოტპუსკში, აუღებელი დარჩენიათ უკანასკნელი ათი დღის ჯამაგირი. სულ ასეთი ფული დარჩენილა დუმაში 4 ათას მანეთამდე.

**ბეჭდვითი სიტყვის მუშათა საზოგადოების გამგეობის გამოკითხვა.** 24 ავგისტოს პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა დაიბარა ხსენებულ გამგეობის თავმჯდომარე, ხაზინადარი და მდივანი საზოგადოების მოქმედების შესახებ ჩვენების ჩამოსართმევათ. გამოკითხვამ გასტანა თითქმის რვა საათი. სულ 40-მდე კითხვა იქნა დაყენებული, სხვათა შორის, შემდეგი კითხვები; 1) კავშირი აქვს თუ არა დაჭერილი საზოგადოებას მუშათა დეპუტატების საბჭოს გაგზავნილ წევრებთან და ეხმარება თუ არა მათ ნივთიერათ? ამაზე საზოგადოების თავმჯდომარემ უპასუხა, რომ იმ 3000 მანეთს გარდა, რომელიც სტამბებში მოაგროვეს და დეკემბერში გაუგზავნეს, საზოგადოება ახლა არავითარ დახმარებას არ უწევს მათ; 2) ვინ უცხადებს ბოიკოტს სტამბებს? პასუხი: გრადონაჩალნიკის მიერ ბოიკოტის აკრძალვის შემდეგ, თვითონ მუშები უცხადებენ; 3) ვინ აცხადებს გაფიცვას და ვისი თაოსნობით ხდება იგი? პასუხი: გაფიცვა მუშების თაოსნობით ხდება, გამგეობა მხოლოდ თავის სანქციას აძლევს იმ შემთხვევაში თუ მუშათა მოთხოვნები არ აღემატება ხელფასის იმ საშუალ ნორმას, რომელიც არსებობს მოწინავე სტამბებში; 4) როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას სოც.-დემ. პარტიასთან, უწევს თუ არა საზოგადოება ამ პარტიას ნივთიერ დახმარებას, აქვს თუ არა მასთან ორგანიზაციული ან იდეიური კავშირი? ყველა ამ კითხვებზე პასუხი იყო „არა“; 5) საზოგადოების ჟურნალი არის თუ არა პარტიული—სოც.-დემოკრატიული? პასუხი: საზოგადოების ორგანო სრულიად ნეიტრალურია (უპარტიო). უკანასკნელი კითხვა: სად ინახება საზოგადოების ფული? პასუხი: კერძო პირის ხელში, რომლის პატიოსნება უზრუნველყოფილია გამგეობის მიერ.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

რუსეთი.

3 სექტემბერი.

**ბელოსტოკი.** საქონლის სადგურზე მატარებლები დაეჯახნენ. დაიმტვრა 7 ვაგონი.

**კიევი.** პოლიტეხნიკუმში მიიღეს 410 ახალი სტუდენტი.

**იალტა.** გაიხსნა სანატორიუმის მთავარი სადგომი 50 ავათმყოფისათვის.

**გროდნო.** შუაგულ ქალაქში ფაბრიკანტ მეზერსკის ბინაზე შეაგდეს ყუმბარა, რომელიც საშინელი ძალით გასკდა და დაანგრია ოთახის შინა მორთულობა. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

**ოდესა.** დაიწვა შმიდინსკის დიდი ქარხანა. ზარალი $^{1}/_{2}$ მილიონ მანეთამდე.

ამ წინაზე მოკლულ ნაღზირატელი ხარჩენკოს გვამის გადასვენების დროს ხალხში რევოლვერი გაისროლეს. ამას მოჰყვა სროლა მეორე მხრიდან. მოვიდა ჯარი და პოლიცია, წესრიგი აღდგენილ იქნა. დაიჭრა ერთი 14 წლის ქალი. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

**ეკატერინოდარი.** მაიკოპში დასჭრეს ტეხნიკური სასწავლებლის ინსპექტორი. ეჭვი გამოდევნილ მოსწავლეზე აქვთ.

**კალიში.** სერადზკის მაზრაში გაძარცვეს ღვინის სავაჭრო და მოკლეს სტრაჟნიკი.

**ლოძი.** პარტიულ ნიადაგზე დასჭრეს ერთი ფეიქარი.

**ბტკარსკი.** ქალაქიდან 6 ვერსის მანძილზე რკინის გზიდან გადავარდა სატვირთო მატარებელი. დაზიანდა 4 ვაგონი და ლოკომოტივი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მუშათა რწმუნებულებმა საარჩევნო სიაზედ აირჩიეს ერთი კადეტი, ერთი უკიდურესი მემარცხენე და ერთიც ხალხოსან-დემოკრატი. დანარჩენების ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული. ორი თავის თავს უპარტიოს ეძახის და ორიც—პროგრესისტს.

**გელსინგფორსი.** დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა გენერალ-გუბერნატორი გერარდი.

**კრასნოიარსკი.** ქალაქიდან ოთხი ვერსის მანძილზე მოკლეს ოქროს ღუქნების სპორშჩიკი. გაიტაცეს 5000 მანეთი.

**ბელოსტოკი.** მოკლეს უფროსი გოროდოვოი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხოლერით ავათ გახდა 8, მოკვდა 2 კაცი.

**ასტრახანი.** ქალაქში ხოლერით ავათ გახდა 23, მოკვდა 19 კაცი. მაზრაში ავათ გახდა 14, მოკვდა 10 კაცი.

**სიმბირსკი.** გუბერნიაში ხოლერით ავათ გახდა 8 კაცი, მოკვდა 2.

**სამარა.** ქალაქში ავათ გახდა 3 კაცი, მოკვდა 5.

**სარატოვი.** სარატოვის გუბერნიაში ხოლერით ავათ გახდა 35, ხოლო მოკვდა 14 კაცი. 2 ენკენისთვეს ავათ გახდა 34, მოკვდა 20.

**მოსკოვი.** 2 სექტემბერს შესდგა რწმუნებულთა არჩევნები ვოლოკამსკის მაზრაში. არჩეულია 22 რწმუნებული. ამათგან 11 კაცი თავის თავს მემარჯვენეს უწოდებენ, 9—ზომიერს, ორი მემარცხენეს.

პოდოლსკის მაზრაში აირჩიეს 22 რწმუნებული. ამათგან ხუთი მონარქისტი, 11 ზომიერი, 6 მემარცხნე. ერთი მამასახლისი, რომელიც უმტკიცებდა ხალხს: არჩევნები საჭირო არ არის, კრებიდან გააგდეს.

**ფეცი.** სულთანი აბდულ-აზისი რაბატაში განემგზავრა.

**ლონდონი.** მაროკოდან მიღებულ ცნობების მიხედვით მოლაი გაფიდი 30000 ჯარის კაცით 10 სექტემბერს იერიშს მიიტანს ქ. რაბატაზე.

**გონკონგი.** კვანგსის პროვინციის სხვა და სხვა ადგილებში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულთა დროშებს აწერია: „ჩინოვნიკები გვაიძულებენ ავჯანყდეთ“.

**პარიჟი.** გენერალი დრუდი იუწყება, რომ საფრანგეთის საკონსულოში გამოცხადდენ ადგილობრივ ტომი დეპუტატები, რომლებიც მოითხოვენ მოლაპარაკებას მასთან, ადმირალ ფილიბერთან და საფრანგეთის კონსულთან.

**გონკონგი.** ქალაქ ლინშანის მახლობლათ, კვანტუნის პროვინციაში, ნამდვილი ბრძოლა გაჩნდა აჯანყებულთა და მთავრობის ჯარს შორის. შეტაკება 12 საათს გაგრძელდა. აჯანყებულნი კარგათ არიან შეიარაღებულნი. აჯანყების ხელმძღვანელებათ ანაბიდან დაბრუნებულ ემიგრანტებს ასახელებენ.

უცხოეთი.

**ფერმანი.** მერლენბახსკის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მოკლულია 4 და დაჭრილი სამი მაღაროს მუშა.

**სტამბოლი.** პურზე ფასის მომატებსი გამო მოხდა რამდენიმე მანიფესტაცია. ერზერუმში მოკლეს ორი მეპურე.

რედაქტორ-გამომცემელი
ს. ჩხარტიშვილისა.


## განცხადებანი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.
წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური**. მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ. Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія.

ბ. სიკო ნაზიჭვრიშვილს.

რადგან შენ დაარღვიე მედიატორეთა დადგენილება, ამისთვის გიწვევთ მეორეთ სამედიატორო სამართალში, რომლის განაჩენიც უნდა დაისტამბოს ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში. ვადას ვნიშნავ ერთ კვირას. ჩემის მხრით ვასახელებ:

ს. ტერ ხაჩატუროვს და
ა. აშუღბაბოვს.

1—ფ—1. არშაკ ბალიოზოვი.